ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N32

ქ. თბილისი თებერვალი 2023

ერთი მხრივ, **სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი** წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზურაბ რუსიშვილის სახით, (შემდგომში ,,შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **მცირე ინდ. მეწარმე გიორგი ბაგრატიონი** (პ/ნ 01008002779), (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია მონოგრაფიის ბეჭდვასთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV79820000).

1.2. მომსახურების სრული დასახელება, რაოდენობა და მახასიათებლები მოცემულია **დანართი №1**-ში, რაც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა (მონეტარული ზღვრების დაცვით).

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 2600.00 (ორი ათას ექვსასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

3.1. მიმწოდებელმა უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება არაუგვიანეს 2023 წლის 31 მარტისა.

3.2. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დადასტურდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება 2023 წლის SP-22-316 გრანტის სახსრებით.

5. უფლებების გადაცემა

5.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულებების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის სადავო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 10 მაისის ჩათვლით.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, როცა იგი წერილობით ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; **მისამართი:** ქ. თბილისი, მინდელის 8 ბ **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა; **ბანკის კოდი:** TRESGE22 ა.ა. სახაზინო კოდი 7 0879 7235 ს.კ. 211346444 **დირექტორი:** ზ. რუსიშვილი Zurab Rusishvili Digitally signed by Zurab Rusishvili Date: 2023.02.22 16:06:18 +04'00'	**მიმწოდებელი:** მცირე ინდ. მეწარმე გიორგი ბაგრატიონი პ/ნ 01008002779 ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის 20. ბ.49 ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 მიმღ: ანგ. № 31 თ 703664506110 0047 **მიმწოდებელი:** გ.ბაგრატიონი

დანართი N1

ხელშეკრულების ობიექტი

#	**დასახელება**	**საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი**		**CPV კოდი**
1	მონოგრაფიის რედაქტირება (ტექსტში გამოყენებული ცხრილების, ფორმულების, დიაგრამებისა და გრაფიკების, ფიზიკური სიდიდეების და სიმბოლოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამობის შემოწმება; ტექსტის ქართული ენის სტილისტურ ნორმებში მოქცევა; ცხრილებისა და ნახატების კომპიუტერული დამუშავება) და დაკაბადონება	2600.00		79820000
		სულ:	**2600.00**	